# გია ებრალიძე - საჯარო მმართველობის დოქტორი



**ალიონი.** 27 ივლისს სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ გურიის მხარეში გია ებრალიძემ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სახელმწიფო პოლიტიკისა და საჯარო სამსახურის ურთიერთმიმართების საკითხების ანალიზი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცისათვის“ და მიიღო უმაღლესი შეფასება ერთხმად — ძალიან კარგი.

**გია ებრალიძეს სადოქტორო პროგრამა - საჯარო მმართველობა მიენიჭა საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხი.**

* * *

გია ებრალიძე დაიბადა 1954 წლის 1 იანვარს ქ. თბილისში. 1970 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის №62-ე სკოლა, ხოლო 1975 წელს, ასევე წარჩინებით — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. დაამთავრა ქ. ხარკოვის პროკურატურის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა — განხრით სახელმწიფო, დღევანდელი საკონსტიტუციო სამართალი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო საქართველოს პროკურატურის ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამომძიებლად; 1976-77 წლებში იყო ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის პროკურორის თანაშემწე; 1977-80 წლებში საქართველოს პროკურატურის უფროსი პროკურორი; 1980-90 წლებში ორი საკონსტიტუციო ვადით იმუშავა მარნეულის რაიონის პროკურორად; 1991 წელს გადაიყვანეს საქართველოს პროკურატურის კადრების განყოფილების უფროსად, ასევე ასრულებდა გენერალური პროკურორის მოადგილის მოვალეობას; იყო ზესტაფონის რაიონის პროკურორი; 1991 წელს დაინიშნა გარდაბნის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარედ.

გია ებრალიძემ 1999 წელს წარმატებით ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა და 2000 წელს დაინიშნა თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლედ; სასამართლოს ლიკვიდაციის შემდეგ, 2007 წლიდან არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

იგი 2014-2015 წლებში მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მონიტორინგის დეპარტამენტში მთავარ სპეციალისტად; იყო სააუდიტო ფონდის აღრიცხვისა და ლექცია-სემინარების შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

გია ებრალიძე 2015 წლის 5 აგვისტოდან დღემდე არის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილე ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში.

იგი ფლობს ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებს.

ბატონი გია ებრალიძის მეუღლე ნანა ცანავა ექიმი-ნევროპათოლოგია. ჰყავთ სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

მამა არჩილ ებრალიძე —ცნობილი პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კათედრის გამგე იყო სიკვდილამდე; ბიძა — გივი ინწკირველი, აკადემიკოსი, იურისტი, ქართული იურისპრუდენციის პატრიარქს უწოდებენ. ორივე - სახელოვანი გურულები იყვნენ.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია ულოცავს ბატონ გია ებრალიძეს დოქტორის ხარისხის მინიჭებას და წარმატებებს უსურვებს.


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 30 (10275) 2 აგვისტო 2018 წ. ფასი 60 თეთრი.


# გასული წლის დავალიანების გამო გამორთული შუქი

## აბონენტი: „ერთი წელია დაზიანებული ყოფილა მრიცხველი, მე რა ვიცოდი?!“

მარი კოძოევი



**მაკვანეთელი, ამბაკო გოლიაძე, რედაქციაში გვესტუმრა. მეტად შეწუხებული იყო. 24 ივნისს, ელექტროენერგია გამომირთეს და მას შემდეგ უშუქოდ ვარო. დენი წინა წლის დავალიანების გამო გამოურთავთ. აღმოუჩენიათ, რომ მთელი ერთი წელი, მრიცხველი დაზიანებული იყო და შესაბამისად, სწორად არ აღრიცხავდა დანახარჯს. ახლა კი ჩვენი რესპონდენტი თანხის ერთიანად გადახდას ვერ ახერხებს. „ერთი წელია დაზიანებული ყოფილა მრიცხველი. მე რა ვიცოდი?! რაც მოდიოდა გადასახადი, ვიხდიდი“ - გვეუბნება ის.**

**ამბაკო გოლიაძე:** „მოვიდნენ და უკითხავად დაიწყეს მრიცხველის მოხსნა. შემთხვევით დაინახა ჩემმა მეუღლემ. არც აუხსნიათ, რატომ ხსნიდნენ. არც ის უთქვამთ, დავალიანება თუ მქონდა. ახალი მრიცხველი მალევე დაამონტაჟეს. მაშინაც არ უთქვამთ არაფერი. 24-ში, როცა ელექტროენერგიის გამოსართავად მოვიდა კომპანიის თანამშრომელი, ვინც მრიცხველებს ამოწმებს, მაშინ მითხრა, წინა წლის სამი თვის დავალიანებას ანგარიშობენო. მრიცხველი ყოფილა დაზიანებული ერთი წელიაო.

**გოლიაძე დავალიანების გადახდაზე უარს არ ამბობს, მაგრამ ერთიანად გადახდის ფინანსური შესაძლებლობა არ აქვს. გადასახდელი თანხის გადანაწილებას ითხოვს.**

„ვიყავი ენერგო-პრო ჯორჯიას“ სერვის-ცენტრში. ჯერ ხელმძღვანელს ვუთხარი ჩემი ამბავი, მან ბუღალტერიასთან გადამამისამართა. ყველას ავუხსენი ჩემი მდგომარეობა. ვუთხარი, გადახდის შესაძლებლობა არ მაქვს-მეთქი. ბუღალტერმა მითხრა თანხის ნაწილ-ნაწილ შეტანის ნებართვას არ გვაძლევენო. ხანამ სრულად არ გადაიხდი დავა-

გვ-2

# თხილი - მარჩენალი კულტურა თუ სოციალური ბომბი?

თემურ მარშანიშვილი

მართალი გითხრათ, ამ თემაზე სპეციალური გამოკითხვა არ ჩაგვიტარებია, მაგრამ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ახლო წარსულში მარჩენალად წოდებული ეს სასოფლო-სამეურნეო კულტურა შემოდგომაზე თუ არა, ზამთარში მაინც სოციალურ ბომბად მოგვევლინება, რომლის აფეთქებას ჩვენი ქვეყნის თხილის მწარმოებელ რეგიონებში შესაძლებელია უმართავი პროცესებიც კი მოჰყვეს, რასაც მერე, რასაკვირველია, ვეღარ უშველის მთავრობის ფაცი-ფუცი და „ოღონდ ნუ იქნება ბუნტი“.



თხილს მარჩენალის რეპუტაცია თითქოს მაშინ შეერყა, როდესაც აზიურმა ფაროსანამ თავისი მყრალი „გამონაბოლქვით“ უბრძოლველად აიღო საქართველოს შავიზღვისპირა ზოლი, სინამდვილეში ამ კულტურის საქმე უფრო ადრე წავიდა ცუდად, როდესაც მცენარეთა დაცვის სპეციალისტებმა განგაშის ზარს შემოჰკრეს, რომ მეზობელ ქვეყანაში დაფიქსირებულია თხილის საშიში დაავადება, რომლის ჩვენს ქვეყანაში შემოჭრა მომაკვდინებელ გავლენას იქონიებს არა მხოლოდ თხილის, არამედ სხვა კაკლოვან და ხეხილოვან კულტურებზეო. სამწუხაროდ, ამ ზარს წაუყრუეს, ყურის ნაგვიანევად გამოფხეკას კი მოჰყვა ის, რომ აზიური ფაროსანას მიერ მოტანილი ზარალი ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც სხვა სოკოვანმა და ბაქტერიულმა დაავადებებმა მიაყენეს აგრარულ მეურნეობას.

რჩება შთაბეჭდილება, რომ დიაგნოზდაუსმელ „პაციენტს“ მკურნალობენ. შეიძლება მთლად კომპეტენტური ვერ ვიყო თხილის გადასარჩენად ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების შეფასებაში, მაგრამ, **ჩემი აზრით, ახლა ხალხს უფრო „აბოლებენ“, ვიდრე მცენარეებს**. ყოველ შემთხვევაში, შესამჩნევი შედეგი ნამდვილად არ გვაქვს, მართალია, ფაროსანა რაოდენობრივად რამდენადმე შემცირდა, მაგრამ სხვა მავნებელ-დაავადებებმა თხილი ისე მოაშთო, რომ არა მგონია, ამ გზით მისი გადარჩენა და მოსახლეობის სიდუხჭირისაგან დახსნა შევძლოთ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი თხილის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელია. სამწუხაროდ, დღეს აქ საგანგაშო მდგომარეობაა, ვერც ერთ სოფელში ვერ ნახავთ მეტ-ნაკლებად თხილის ჯანსაღ პლანტაციას, საიდანაც ნორმალურთან მიახლოებული მოსავლის მიღება შეიძლებოდეს. ამასვე ადასტურებს თხილის მიმღებ პუნქტებში ჩასაბარებლად მიტანილი თხილის ნაყოფი.

ქალაქ ოზურგეთში, სასტუმრო „გურიას“ ეზოში და მის პერიმეტრზე 15-ზე მეტი ასეთი თხილის მიმღები პუნქტია, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ სრული დატვირთვით მუშაობდა, წლეულს კი დღეში დიდი-დიდი, 80-100 კგ თხილი მიილონ. როგორც ერთ-ერთი პუნქტის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა, **რუსუდან კუპრაძემ** გვითხრა, სოფლებიდან ჩამოტანილი თხილი უმეტესობას, უხარისხობის გამო, ვერ იბარებენ:

„წარმოუდგენლად ცუდი მდგომარეობაა, როგორც შემოსავ-

გვ-3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;
– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100
*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515
*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



დაიწყეთ ყოველი დილა ალიონზე

«ალიონით»


# გასული წლის დავალიანების გამო გამორთული შუქი

## აბონენტი: „ერთი წელია დაზიანებული ყოფილა მრიცხველი, მე რა ვიცოდი?!“

ლიანებას, ვერ ჩაგირთავთ დენსო. სად მაქვს მაგდენი ერთად?! უმუშევარი ვარ. არაა საშუალება, თორემ რატომ არ გადავიხდიდი?! გადასახადი უნდა გადავიხადო, მაგრამ, როცა თვითონაც არიან დამნაშავე, მომეხმარონ. ხომ არ ვამბობ, არ ვიხდი-მეთქი. ვთხოვ, მომეხმარეთ, გადახდა შემაძლებინეთ-მეთქი.“

**როცა აღნიშნული საკითხის გარკვევა „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრის ხელმძღვანელთან, გია ნაკაიძესთან ვცადეთ, კითხვა აქეთ შემოგვიბრუნა.**

**გია ნაკაიძე:** მე რა მაინტერესებს იცით, მაგ კაცს რომ ჰკითხოთ, ერთი წელი რომ დენის გადასახადი არ მიდიოდა, არ დაინტერესდა, რატომ?

- **გადასახადი მოდიოდა და რაც მომდიოდა ვიხდიდიო, ამბობს.**

- არ დაეჭვდა, ცოტა რომ ერიცხებოდა დავალიანება?

**-არა, რადგან როგორც ამბობს, ეკონომიის გამო ცდილობდნენ, ნაკლები მოეხმარათ. ახლა, როცა დავალიანებაა დარიცხული, მისი გადანაწილება არ შეიძლება?**

– გადანაწილებაზე განცხადება არ დაუწერია და როგორ უნდა გადაუნაწილონ. ბექა ორაგველიძეს, აბონენტთა ურთიერთობის სამსახურს მიმართოს.

**– თქვენთვის და ბუღალტერისთვის მოუმართავს და უარი გითქვამთ.**

– გააჩნია თანხას, რამდენია დარიცხული. თუ ვთქვათ ათი ლარია, არ გადაუნაწილებენ.

- **რამდენი უნდა ჰქონდეს დავალიანება, რომ გადაუნაწილონ?**

- მისი გადახდებიდან გამომდინარე შევხედავთ. არის ობიექტი, რომელიც თვეში იხდის 10 000 ლარს. მას რომ დაერიცხოს 500 ლარი, არ გადაუნაწილებენ. მაგრამ, ვთქვათ, აბონენტი თუ იხდის 5 ლარს და დაერიცხება 50 ლარი, მაშინ გადაუნაწილებენ. დანარიცხის მიხედვით დაწერს განცხადებას და განიხილავს ჩვენი ხელმძღვანელობა. მარტო ჩვენი გადასაწყვეტი არაა.

**– როგორ აწარმოებთ მრიცხველებზე დაკვირვებას, რომ მსგავსი შემთხვევები არ გამოგეპაროთ?**

– პერიოდული კონტროლი ხდება.

**– რა პერიოდულობით ხდება კონტროლი?**

– გააჩნია. დანაკარგების მიხედვით. სად, რომელ ტრანსფომატორზეა დანაკარგი, იმის მიხედვით აკეთებენ ყველა იმ აბონენტის აღრიცხვას, ვინც კონტრეტულ ტრანსფორმატორზეა მიერთებული. დაზიანების შემთხვევაში ძველ მრიცხველს ახლით ცვლიან და აბონენტს აყენებენ საქმის კურსში.

**– ჩვენი რესპონდენტი ამბობს, რომ არავის გაუფრთხილებია და შემთხვევით დაინახა, როცა მრიცხველს ცვლიდნენ.**

—ვერ დავიჯერებ. ყველას აფრთხილებენ და მაგის რა ჯინი ჰქონდათ?!

# ყველაზე ხანმოკლე ბრიფინგი



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავ მჯდომარის 25 ივლისის ბრი ფინგი, შესაძლებელია ყველაზე ხანმოკლე იყოს ბრიფინგების ისტორიაში, ბატონი დავით დარჩია მხოლოდ სამი წინადადებით შემოიფარგლა:

*„2018 წლის 15 ივნისს საჯარო სივრცეში ატვირთული მასალის გამო, წარმოიშვა ინციდენტი, რომელიც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რამაც გამოიწვია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ბესიკ ქათამაძის სხეულის დაზიანება.*

*ფიზიკურ დაპირისპირებაში მონაწილე ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ტარიელ აროშიძე გადადგა დაკავებული თანამდებობიდან.*

*ასევე, დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს ინციდენტში მონაწილე ფრაქცია „კონსერვატორების“ თავმჯდომარემ დავით ჭაკნელიძემ და ფრაქცია „მწვანეების“ თავმჯდომარემ გელა ჩავლეშვილმა“, - განაცხადა ბრიფინგზე დარჩიამ.*

# ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გელა ჩავლეიშვილი უხელმძღვანელებს



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება –დემოკრატიულ საქართველოს“ გელა ჩავლეიშვილი უხელმძღვანელებს. იგი ამ დრომდე აღნიშნული ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე იყო.

გელა ჩავლეიშვილმა ტარიელ აროშიძე ჩაანაცვლა, რომელიც თანამდებობიდან ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის დაბა ნასაკირალის მაჟორიტარი დეპუტატის ბესო ქათამაძის ცემის ფაქტის გამო გადადგა. აროშიძემ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი დაიკავა.

# ოზურგეთი ემილი ბუკიას ეხმარება

**ალიონი.** 23 ივლისს, დილის საათებში, ოზურგეთის ცენტრში, გამვლელების ყურადღება რამდენიმე ახალგაზრდამ მიიქცია. ბიჭები ცეკვა-სიმღერით ემილი ბუკიას დახმარებას სთხოვდნენ საზოგადოებას. როგორც გაირკვა წლინახევრის ემილის დიაგნოზი ჰიდროცეფალია და ხერხემლის თიაქარია.



როგორც ირკვევა ემილიას დაავადება თანდაყოლილია. იგი დაბადებიდან იაშვილის კლინიკაში გადის მკურნალობის კურსს

# აჭის წმინდა გიორგის ტაძრის რესტავრაცია დაიწყო

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და დაფინანსებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის რეაბილიტაცია დაიწყო.

მიმდინარე სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ მოინახულეს.

XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დასაწყისში აგებული დარბაზული ეკლესიის რესტავრაციის პროექტი, რომელიც სააგენტოს არქიტექტორების მიერაა მომზადებული, რიყის ქვით ნაგები სავალალო მდგომარეობაში მყოფი სუბსტრუქციიის კედლების გამაგრებას მოიცავს.

ფიზიკური სამუშაოების I ეტაპი, რომელიც ასევე სააგენტოს არქეოლოგიური მეთვალყურეობის ქვეშ წარიმართება, ითვალისწინებს სუბსტრუქციის ბაქანის ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის გასუფთავებას ბუჩქებისა და ხე-მცენარეებისაგან, ტაძრის ტერასის ჩრდილოეთი ნაწილის გასუფთავებას ნაყარი მიწისა და კედლის ნაშალისაგან და ამორტიზებული დასავლეთის კედლის დაშლას.

სარეაბილიტაციო პროცესის მსვლელობისას სუბსტრუქციის ბაქანის საძირკვლისთვის მოეწყობა ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფასადების მონოლითური კედლები, რომელიც რიყის ქვით შეიმოსება. ახლიდან გადაეწყობა ტაძრის სუბსტრუქციის სხვა ამორტიზებული უბნებიც. ტაძრის ეზოში მდებარე კიბის საფეხურებზე კი კირქვები დაიგება. კირქვითვე მოეწყობა კიბიდან ტაძრამდე მისასვლელი ბილიკიც. კიბესა და აღდგენილი სუბსტრუქციის ტერასაზე კი ლითონის მოაჯირები დამონტაჟდება. სამშენებლო-საწარმოო სამუშაოების მსვლელობისას ახალი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში პროექტი დაკორექტირდება.

სოფელ აჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დასაწყისშია აგებული. დარბაზულ ეკლესიას აქვს ასომთავრული წარწერა, შიგნიდან მთლიანად მოხატულია ფრესკებით, მათ შორის ზოგიერთი ფრესკა იკონოგრაფიული თვალსაზრისით იშვიათობას წარმოადგენს. ეკლესიაში დღემდე ინახება თამარ მეფის დროს შექმნილი ოქროთი დაფერილი ვერცხლის ჯვარი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა.



# მერაბ ჭანუყვაძე ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას



**ალიონი.** 26 ივლისს, დილით, გავრცელდა ინფორმაცია საქართველოს ყველა რეგიონში გუბერნატორების შეცვლის, მათ შორის გურიის გუბერნატორის მერაბ ჭანუყვაძის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, თუმცა მას დილით ამ თემაზე ჟურნალისტებთან ბრიფინგი არ გაუმართავს.

მედიაში ინფორმაციის გავრცელებას მოქალაქეების პროტესტი მოჰყვა.

*„მხოლოდ გურიის კი არა, მთლიანად საქართველოს ღირსეული მოქალაქე, ბრწყინვალე პიროვნება და მეგობარი... დაუჯერებელია ეს ამბავი... გურია ამაყობს ასეთი ადამიანებით... ძალიან მეწყინა ბატონი მერაბის გადადგომა“*—წერდა გაზეთ „ალიონის“ ფეისბუქგვერდზე თამარ ძნელაძე.

დღის მეორე ნახევარში **მერაბ ჭანუყვაძემ** ცენტრალური და ადგილობრივი ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა:

*—არანაირი განცხადება არ დამიწერია, უბრალოდ თანამშრომლებთან მქონდა საუბარი.*

*ვაგრძელებ ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობას. არანაირი შეტყობინება არ მქონია პრემიერ-მინისტრისაგან, , ასე, რომ ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ.*—განაცხადა მერაბ ჭანუყვაძემ.

*—მერაბ ჭანუყვაძე სამაგალითო ადამიანია. ის წარმატებული გამგებელი იყო.ვულოცავ. მამუკა ბახტაძე. მადლობა ამ გადაწყვეტილებისთვის*—წერს სოციალურ ქსელში თამარ ნატროშვილი.

# „წითელი ზონა“ ოზურგეთში



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებულმა საზოგადოებრივი დარბაზის წევრებმა პარკირების რეგულირების წესსა და ფასზე იმსჯელეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველმა ალექსანდრე ბერიძემ მუნიციპალიტეტის საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულაციების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ წარადგინა პროექტი.

ბერიძის თქმით, ამ პროექტის მიზანია პარკირების ზონის 10 პროცენტით განტვირთვა, რაც მნიშვნელოვანია ავტოტრანსპორტით გადატვირთული ქალაქისათვის, საკურორტო ზოლისა და ა.შ.

— საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი დარბაზის წევრების ჩართულობა და მოსაზრებები განსაკუთრებით საყურადღებოა. ეს პროექტი ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში პარკირების დარეგულირებას. ძალიან მნიშვნელოვანია, საკრებულომ გადაწყვეტილება მიიღოს მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე — განაცხადა **დავით დარჩიამ.**

პროექტის განხილვისას განსაკუთრებით აქტიურობდა სამოქალაქო სექტორი. მათი ინტერესის სფერო იყო პარკირების რეგულირების წესი, ადმინისტრირების საკითხი და პარკირების ფასი.

არასამთავრობო სექტორიდან განსაკუთრებით აქტიურობდნენ: ოთარ რევიშვილი, გრიგოლ მახარაძე, ზვიად ერაძე, ლევან ხინთიბიძე, მინდია სალუქვაძე...

დაისვა კითხვები: დღეის მდგომარეობით ვისია საპარკინგო ადგილები; აპირებენ თუ არა მათთან დადებული ხელშეკრულელების გადახედვას; კვლავ კონტროლიორების სისტემა იმუშავებს თუ უფრო თანამედროვე ელექტრონულ მექანიზმებს გამოიყენებენ, მაგალითად პარკომანტებს; ექნებათ თუ არა მძღოლებს პარკინგისათვის გამოყოფილ ადგილებში 10-15 წუთის უფასოდ გაჩერების უფლება; გამოაცხადებენ თუ არა ტენდერს კერძო ოპერატორზე გადასაცემად; რას უპირებენ ტაქსის მძღოლებს და ა.შ.

პარკირების რეგულირების ახალ წესის გარშემო საყურადღებო არგუმენტები წარმოადგინეს სივრცით ტერიტორიული დაგემვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავამ, სამანდატო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე ეროდი გორდელაძემ, დეპუტატმა ვასილ ჩიგოგიძემ, დარბაზის წევრმა ავთანდილ სურგულაძემ, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე გელა ჩავლეიშვილმა...

**ლავრენტი ბიგვავას** აზრით, პარკირების თემა მნიშვნელოვანია და ამისათვის ბიუჯეტიდან თანხები უნდა გამოინახოს. თუმცა ითქვა ისიც, რომ პარკინგის მოწესრიგება ბიუჯეტის გაძლიერებისათვის არ ხდება.

ქალაქში პარკირების შესახებ ხანდახან ისმიოდა სიტყვა „შავი ბიზნესი“, რაც **ალექსანდრე ბერიძემ** უფრო დააკონკრეტა: „ყოფილი პოლიციის წინ და ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ოპერატორებს გაუყიდათ ხელშეკრულების ვადა და დღეს იგი „შავი“ ბიზნესია.“

დარბაზში მსხდომთა გარკვეული ნაწილი კრიტიკულ დამოკიდებულეას გამოხატავდა ე.წ. „წითელი ზონის“ მიმართ, სადაც პარკირების მაღალი გადასახადი იქნება.

— თქვენ წითელ ზონას აკეთებთ იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ამის შესაძლებლობა აქვთ —აღნიშნა დეპუტატმა **ხათუნა ცერცვაძემ.**

პასუხგაუცემელი დარჩა დარბაზის წევრებისა და დეპუტატების შეკითხვები: მუნიციპალურ საკუთრებაში დარჩება თუ გადასცემდნენ ახალ საპარკინგო ადგილებს ახალ ოპერატორებს ტენდერის გზით, ან ვინ დგას საერთოდ ამ ბიზნესის უკან.

—ჩვენ ნებართვას ვაძლევთ უცნობ ოპერატორს — აღნიშნა **გრიგოლ მახარაძემ.**

დარბაზის სხდომის დასაწყისში მხოლოდ ერთი კითხვის დასმა მოახერხა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე მარიკა ჩხიკვიშვილმა. მან რამდენჯერმე ითხოვა სიტყვით გამოსვლის უფლება, მაგრამ რატომღაც არ მისცეს...

იმის გამო, რომ ამ ეტაპზე გარკვეული არ არის ვინ იქნება დარბაზის წევრი, პროექტს მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა აუწია ხელი.

# თხილი – მარჩენალი კულტურა თუ სოციალური ბომბი?



ლის, ისე ხარისხის თვალსაზრისით. თუ რამდენიმე წლის წინ დღეში ტონამდე თხილს ვიბარებდით, (ყოფილა შემთხვევა, ხუთი ტონაც მიგვიღია), ახლა 100 კილოგრამამდეც ვერ ავდივართ. ნაყოფის უმეტესობა დაავადებული და უგულოა. ვიბარებთ მხოლოდ ისეთს, რომლის გამოსავლიანობა 50 პროცენტი და მეტია, ანუ ყოველი 10 ნაყოფიდან მინიმუმ ხუთში მაინც არის საღი გული. ვიცით, რომ უკმაყოფილოა მოსახლეობა, ვისაც თხილს უკან ვუბრუნებთ, მაგრამ მათაც უნდა გაგვიგონ, სხვა გამოსავალი არ გვაქვს, რადგან გადამამუშავებელი ქარხნები ნაჭუჭს არ იბარებენ“.

ქალბატონი რუსუდან კუპრაძის პუნქტში, ჩვენი იქ ყოფნისას, ექვსი ჩამბარებლიდან მხოლოდ ერთის მიერ მოტანილმა თხილმა დააკმაყოფილა მიმღები პუნქტების მიერ შემუშავებული „სტანდარტის“ მოთხოვნა.

სხვა საქმეა ფასები. არ ვიცი, ვინ და როგორ შეასვა, მაგრამ მიზერულია და აი, რატომ: ყველას გვახსოვს, სამი წლის წინ ერთი კილოგრამი თხილის ფასი 10 ლარს გასცდა, სტაბილურად 5 ლარი ყოველთვის იყო. რასაკვირველია, თხილის გულის გამოსავლიანობა 100-პროცენტიანი მაშინაც არ იყო, ჰოდა, თუ დღეს 50%-იანზე ნაკლებს ვერ იბარებენ, ეს 50%-იანი მინიმუმ 2,50 ლარი მაინც უნდა ღირდეს. ლოგიკით ვამბობ, თორემ ვიცი, რომ საბაზრო ეკონომიკა სულ სხვა რამეა.

რადგან სამეგრელოსკენ მქონდა გზა, ვისარგებლე შემთხვევით და ამ საკითხზე, ბოდიშის მოხდით, რამდენიმე ოჯახში შევიარე.

**კობა იზორია** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაცხვში ცხოვრობს. როგორც მან გვითხრა, თხილმა - ძირითადმა შემოსავალმა წლეულს მისი ოჯახი ისევე „მშრალზე“ დატოვა, როგორც შარშან:

„გადაყვა მამაჩემი თხილის გაშენებას, ხუთ ტონას ვაბარებდით, შარშან და წლეულს კი საერთოდ მშრალზე დავრჩით, ფაროსანას ბრალიაო, გვეუბნებოდნენ, მაგრამ მთლად მასე არ ყოფილა. შეგვიწამლეს, ფაროსანებიც გაანადგურეს თითქოს, მაგრამ ხომ ხედავთ, როგორი მოსავალი მივიღეთ. სინამდვილეში უნდა დაწვა, მაგრამ ვარჩევ მაინც, იქნებ, წამხდარ საქმეზე 100-200 ლარს გამოვრჩე. გაზაფხულამდე თავს როგორმე გავიტანთ, მერე დაფნის იმედად ვარ, თუ იმანაც დამაღალატიანა, რა მინდა აქ, ამ ურთის მთის ძირში?!“

ანალოგიური სიტუაციაა სოფელ დიდინეძში მცხოვრები ძმების, **ზაურ** და **პაატა ჯღარკავების** ოჯახში, ასევე კახათელი **რევაზ გუგუჩიას** საკარმიდამო ნაკვეთში.

შეიძლება ვინმე შემომედავოს, რაღა სამეგრელოში გარბოდი, ჩვენი სოფლები გენახაო?! ოზურგეთის სოფლები და ქალაქის გარეუბნები მანამდე მოვიარე, სამწუხაროდ ყველგან ერთიმეორეზე უარესი მდგომარეობაა, სამეგრელოში კი პირად საქმეზე გახლდით, გზად სამიოდე ოჯახში შევედი, რომ ერთმანეთისთვის შემედარებინა და შეიძლება ითქვას, რომ თხილი ამ რეგიონებში დღეს ყველაზე დიდი თავსატეხია.

და ბოლოს, ამ საკითხზე სოფელ გურიანთის მაჟორიტარმა დეპუტატმა **მაია ზოიძემ,** ალბათ, არა მხოლოდ ჩვენი, არამედ ყველას სათქმელი თქვა:

*„როგორც სპეციალისტები ამბობენ, თხილის გაფუჭების ერთადერთი მიზეზი აზიური ფაროსანა არ არის. ამ მავნებლის წილი კულტურის დაზიანებაში მაქსიმუმ 20%-ია და თხილის გაფუჭები მიზეზი, ბაქტერიულ და სოკოვან დაავადებებთან ერთად, არასწორი აგროტექნიკური სამუშაოები გახდა. ჩვენთან მხოლოდ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ჩატარდა ღონისძიებები და მოსახლეობის უმრავლესობამ, სამწუხაროდ, ვერ მიიღო შესაბამისი ზომები სოკოვანი დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად. შეიძლება ითქვას, რომ წლეულს საგანგარო მდგომარეობა გვაქვს, ჩვენს სოფელში თხილის მოსავალი პრაქტიკულად განადგურებულია. უნდა აღვნიშნო, რომ სოფლის მოსახლეობის ძირითად წყაროს წარმოადგენს თხილის ჩაბარებით მიღებული შემოსავალი. მოსახლეობა ხელისუფლებისგან, კომპენსაციის სახით, დახმარებას ითხოვს. ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მოსახლეობის მდგომარეობა და უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მავნებელ- დაავადებათა მიერ მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.“*



# დისკუსია ღია მმართველობის პრინციპების დანერგვაზე, ანუ ვისთვისაა საშიში ზედმეტად გამძლარი ადამიანი?




**ალიონი.**გასულ ხუთშაბათს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში **NDI**-ის საჯარო განხილვა გაიმართა, რომელიც ფოკუსირებული იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ღია მმართველობის პრინციპების დანერგვასა და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გამოკვეთაზე.

განხილვას ძირითადად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები, აიპების მუშაკები, საკრებულოს დეპუტატები, ასევე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის, ადგილობრივი მედიის წარმომადგენელი ესწრებოდნენ.

საჯარო განხილვის მოდერატორი **NDI**-ის წარმომადგენელი **თამარ გზირიშვილი** იყო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ ისაუბრა ღია მმართველობის პრინციპების წარმატებულ მაგალითებზე, ღიაობასა და ამ მიზნის მისაღწევად გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ.

როგორც მერმა აღნიშნა, ოზურგეთის *მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოსთან ერთად კოორდინირებულად ატარებს ღია მმართველობის პრინციპებს და ამ პრინციპთა ეტაპობრივად გაძლიერებას ახორციელებს.*

*—თვითმმართველობის დეცენტრალიზაცია კი არა, სინამდვილეში იგი მიბმულია ცენტრალურ ხელისუფლებაზე. საჭიროა თვითმმართველობის მეტი დამოუკიდებლობა. ყველაფერი უნდა იყოს გუნდური პრინციპით საკრებულოსა და მერიას შორის.* —აღნიშნა **კონსტანტინე შარაშენიძემ.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ ისაუბრა საკრებულოს წარმატებულ პროექტზე ,,მართე სახლიდან,"რამაც ამომრჩევლებს საშუალება მისცა ორლაინ რეჟიმში ენახათ საკრებულოს სხდომები.

*— ჩვენ შევქმენით საზოგადოებრივი ცენტრები კონჭკათში, მელექედურში, თხინვალში, ლიხაურსა და ბახვში. ოზურგეთის პროგრესის სახლთან ერთად დავნერგეთ მოკლე ტექსტური შეტყობინების სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდეს ინფორმაცია საკრებულოსა და კომისიების სხდომების შესახებ. გვაქვს საკრებულოს სხდომების ვიდეოარქივი, გავითვალისწინეთ არასამთავრობო ორგანიზაციების წინადადება და ელექტრონული პეტიციის ხელმომწერთა რაოდენობა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0,5 %-მდე შევამცირეთ. ამჟამად კი ვმუშაობთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტთან გაფორმდება* —აღნიშნა **დავით დარჩიამ.**

არასამთავრობო ორგანიზაცია ,,გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის" დამფუძნებელმა და დირექტორმა **თამარ ღლონტმა** ისაუბრა ღია მმართველობისა და გამჭირვალობის თემაზე. თქვა, რომ არის პრობლემებიც. თუნდაც სოფლებში ინტერნეტის სიჩქარე.

*—როცა ადამიანებს შია, მაშინ მაღალ ღირებულებებზე საუბარი უხერხულია* —აღნიშნა მან.

*—ვისაც შიათ, არ არის საშიში, საშიში ზედმეტად გამძღარი ადამიანია* —უპასუხა თამარ ღლონტს ,,გურია ნიუსის" დამფუძნებელმა **ია მამალაძემ.**

შემდეგ მან ისაუბრა ელექტრონულ თვითმმართველობაზე.

*—წინა წლის მონაცემებით თვითმმართველობაში ელექტრონული ჩართულობა 11 პუნქტით დაქვეითდა, ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობა 42 %-ს შეადგენს...მნიშვნელოვანია მედიაწიგნიერების მიმართულებები, ბეჭდური მედიის როლი.*

***როცა ადგილობრივი ხელისუფლება არის შეუვალი, უხეში, უზრდელი —მოსახლეობისათვის ნებისმიერი ტექნოლოგიით მიწოდებული ინფორმაცია არის არ არის სანდო, ვიდრე ჟურნალისტის მიერ მიწოდებული.*** —აღნიშნა ია მამალაძემ.

ამის შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები და საკრებულოს დეპუტატები აქტიურობდნენ. თავიანთი მოსაზრებები დააფიქსირეს მარი ჩხიკვიშვილმა, ხათუნა ცერცვაძემ, ნანა თავდუმაძემ, მარინა ჯაფარიძემ, თამაზ ტრაპაიძემ, ლევან ხინთიბიძემ, მინდია სალუქვაძემ, ოთარ რევიშვილმა, თამარ ხიდაშელმა, ზვიად ერაძემ, ჟურნალისტებმა გიორგი გირკელიძემ, თეა იოსელიანმა..

გაზეთ ,,ალიონის" რედაქტორმა ნუგზარ ასათიანმა თავისი მოსაზრება გამოთქვა მედიის მნიშვნელობაზე და საჭიროებებზე ადგილობრივი თვითმმართველობის გამჭირვალობის პროცესში.

*—მართალია დღეს აღარ გვიბარებენ პოლიციაში, არ გვაკავებენ, არ აყენებენ შეურაცხყოფებს ჩვენი ოჯახის წევრებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების დამოკიდებულება მედიის მიმართ იდეალურია.—მედიას მეტ-ნაკლებად ყოველთვის აქვს მათთან პრობლემები, საჯარო ინფორმაციის დროულად და სრულყოფილად მიღებაზე, სხვა თემებზე. ახლახან მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთი ფრაქციის თავმჯდომარის მიერ გაზეთ ,,ალიონის" მიმართ სოციალურ ქსელში გავრცელებულ შეურაცმყოფელი პოსტის გამო სახალხო დამცველის ოფისსაც მივმართეთ. ასევე ვიტყვი ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ —ჩვენ ბევრი პროექტის დასრულებას პრეზენტაციებისას ვგებულობთ, რომ თურმე ასეთი პროექტი არსებობდა. მედიას მეტი თანადგომა სჭირდება, თუნდაც ის მცირე სარეკლამო თანხების გაღება, რომ მოსახლეობამ ბეჭდური მედიის საშუალებით გაიგოს, მუნიციპალიტეტში, რამდენიმე სოფელში რაღაც პროექტი მიმდინარეობს* —აღნიშნა **ნუგზარ ასათიანმა.**

**NDI**-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის კოორდინატორის თამარ გზირიშვილის თქმით, შეხვედრაზე გამოკვეთილ საკითხებზე არასამთავრობო ორგანიზაციები ფოკუს ჯგუფის კვლევას ჩაატარებენ.

# გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის განხილვა



26 ივლისს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გენდერული თანაწორობის სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვა გაიმართა.

საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრმა ლელა საჯაიამ არასამთავრობო და მედია სექტორის წარმომადგნელებს, სამოქმედო გეგმის პროექტი გააცნო.

ამ საკითხზე ისაუბრა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელმა მარინა ჯაფარიძემაც.

გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის ძირითადი ამოცანები ამ მიმართულებით ცნობადობის ამაღლება და ქმედუნარიანობის გაძლიერებაა; ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ნორმატიული აქტების ანალიზი და წინადადებების შემუშავება გენდერულად მგრძნობიარე საკითხების წარმოსაჩენად ან არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად;გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტის პროექტის შედგენა.

სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა შეხვედრაზე სამოქმედო გეგმის მიღების აუცილებლობასა და სხვადასხვა სახის რეკომენდაციებზე ისაუბრეს. სამოქმედო გეგმის პროექტზე საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭომ, აღმასრულებელი ორგანოს და არასამთავრობო ორგანიზაციების: ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის, ფონდი ,,სოხუმი"-სა და ,,ქალთა საინფორმაციო ცენტრი"-ს წარმომადგენლებთან ერთად იმუშავა.

საბოლოოდ, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმას საკრებულოს სხდომაზე განიხილავენ.

# ,,ოზურგეთის ოქროს ფონდი" ყველა ოზურგეთელის სამაგიდო წიგნი იქნება

,,ოზურგეთის ოქროს ფონდი" დასაბეჭდად წლის ბოლოსთვის მზად იქნება. როგორც გამოცემის მენეჯერ-კოორდინატორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა ,,ალიონთან" საუბრისას თქვა, ,,ოზურგეთის ოქროს ფონდი" დასაბეჭდად წლის ბოლოსთვის იქნება მზად:

,,ეს იქნება წიგნი ადამიანთა მოწინავე ინტელექტუალური ფენის წარმომადგენლებზე, რომლებმაც შექმნეს ოზურგეთის რაიონისა და ჩვენი ქვეყნის მატერიალურ-ყოფითი და სულიერი ცხოვრების ნიმუშები და ვალმოხდილი წავიდნენ ამ ქვეყნიდან.

დამტკიცებულია და მუშაობას შეუდგა სარედაქციო კოლეგია, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა წიგნის გამოცემისათვის საჭირო მასალებზე. ჩემი ვარაუდით, ,,ოზურგეთის ოქროს ფონდი" დასაბეჭდად მზად იქნება წლის ბოლოსთვის და მას, როგორც ყველა ოზურგეთელის სამაგიდო წიგნს, მკითხველი გაისად მიიღებს. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ეს იქნება ყოვლისმომცველი ლიტერატურა ამ ადამიანებზე. ოქროსავით გასაფრთხილებელი ეს წგამოცემა, რასაკვირველია, ერთტომეულით არ შემოიფარგლება, რასაც პირველი ვერ დაიტევს, შემდეგ ტომებში განთავსდება".

გურამ ცერცვაძის თქმით, წიგნი იბეჭდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის კონსტანტინე შარაშენიძის ინიციატივითა და მხარდაჭერით.

# კვირიკობას ოზურგეთელებს უფასო ტაქსი ემსახურებოდა

**ალიონი.** ცნობილი მსახიობი ჯემალ კეჭაყმაძე, რომელსაც ათეულობით როლი აქვს შესრულებული ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სცენაზე, გადაღებულია ფილმებში, დღესაც ტრადიციას არ ღალატობს და რამდენიმე წელიწადია დიდ დღესასწაულებზე, საკუთარი ავტომობილით უფასოდ ემსახურება მგზავრებს.

ჯემალ კეჭაყმაძეს საზოგადოება გასული საუკუნის 80-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან იცნობს. მისი მეოხებით აღდგა კვირიკეთის წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარი, სადაც დღეს სადღესასწაულო წირვა აღევლინა.

ჯემალ კეჭაყმაძეს 28 ივლისს-კვირიკობას დილიდან გადაჰყავდა მგზავრები, მომლოცველები




ბახვში, დვაბზუში,შემოქმედში, ქ. ოზურგეთში.

დღის განმავლობაში იგი რამდენიმე ათეულ მგზავრს მოემსახურა უფასოდ.

### პრესკონფერენცია

# „შეპყრობილების“ საიუბილეო ღონისძიება და ტრიუმფალურად წარმართული ფესტივალი

თემურ მარშანიშვილი



20 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული დრამატული თეატრისა და ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასო ჩიგოგიძე საკმაოდ ვრცელი ანგარიშით წარსდგა ჟურნალისტების წინაშე. ჰქონდა კიდეც ვრცლად სასაუბრო, მისი თაოსნობით, 5-15 ივლისს თეატრალურმა საზოგადოებამ ხომ ორი ღირსშესანიშნავი მოვლენით — ოზურგეთის თეატრის 150-წლოვანი იუბილითა და ნოდარ დუმბაძის სახელობის მეორე საერთაშორისო ფესტივალით გაამდიდრა ქართული თეატრის მშვენიერი ისტორია.

*ერთი შეხედვით, ცოტა პარადოქსია, როცა ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი ხელოვანი მედიასთან საუბარს ბოდიშით იწყებს იმის გამო, რომ ადგილობრივი მედიასაშუალებები ვერ მოხვდნენ საიუბილეო და საფესტივალო ფლაერებსა თუ ბანერებზე. „ალიონი“, რასაკვირველია, ვერ და არ მიიღებს ამ ბოდიშს, რადგან ამით ქვეყანა არ დაქცეულა, თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ სხვა მედიასაშუალებებზე ნაკლებად არ იმსახურებდა ამ საისტორიო გამომსახველობით საშუალებებზე განთავსებას, მით უფრო, რომ იგი გურიაში თეატრალური ცხოვრების გაშუქებით არანაირად ჩამოუვარდება არც ე. წ. გაჰოლდინგებულ-გამედიასახლებულებს და არც ასევე ე. წ. „განსხვავებული აზრის“ მაშველ-დამცველებს.*

სავსებით ლოგიკური იყო ვასო ჩიგოგიძის მხრიდან აქცენტის სამაუწყებლო კომპანია „გურიაზე“ გადატანა, რადგან „გურიამ“ ამ იუბილესა და ფესტივალზე ისტორიული მისია შეასრულა — აუცილებელი დოკუმენტური ვიდეომატიანე შექმნა:

„სამაუწყებლო კომპანია „გურიასთან“ სრულიად განსხვავებული თანამშრომლობის სურვილი გამიჩნდა. ჩემი აზრით, თუ მხარეში სახელმწიფო თეატრი და ტელევიზია არსებობს, მათ სწორედ ასეთი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ, მაგალითად შემიძლია ის პროცესი მოვიყვანო, რაც ამ ფესტივალის და იუბილის დროს მოხდა. ბედნიერებაა, ის, რაც ამ ორ ისტორიულ მოვლენაზე „გურიის“ შემოქმედებითმა ჯგუფმა შექმნა. ეს ურთიერთობა აუცილებლად გაგრძელდება და გაღრმავდება“.

ასე იყო თუ ისე, ვასო ჩიგოგიძის ბოდიშს, მაინც მის მიერ მედიასაშულებების მისამართით თბილად ნათქვამმა მადლობამ სძლია და ამდენად აღარ ღირს ამ თემის გაწელვა.

გადავიდეთ იმ „შეპყრობილებზე“, რომელთა ძალისხმევით აღნიშნული იუბილე და ჩატარებული ფესტივალი ტრიუმფალურად შედგა.

„მართლა „შეპყრობილები“ ვართ, „შეპყრობილები“ რომ არ ვიყოთ, შეუძლებელია ის გაკეთებულიყო, რაც გაკეთდა, რაც იგივე თქვენ გააკეთეთ, რაც ერთად შევძელით. სხვანაირად წარმოუდგენელია მიდიოდე ასეთ რისკზე, არ გქონდეს შენობა, არ გქონდეს ქალაქში სასტუმრო და ამდენი სტუმარი ატარო ყოველდღე სამოცი კილომეტრი იქეთ და აქეთ, ხშირ შემთხვევაში ორჯერ დღეში და 120 კილომეტრზე ქუთაისში ორჯერ ჩახვიდე, ჩაიყვანო ეს ხალხი და ჩამოიყვანო. შეუძლებელის შეძლება ჰქვია ამას. მერე დავფიქრდი, და გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ არ ყოფილიყო ზაზა ჯინჭარაძე, რომ არ ყოფილიყო ის ხალხი, ვინც გვერდით დამიდგა, ეს იდეა იდეად დარჩებოდა.

ვინც ესწრებოდით გახსოვთ, ალბათ, რაც საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, ბატონმა გოგი გეგეჭკორმა მითხრა. მე მართლა იდეების ბანკი და გენერატორი ვარ, მაგრამ პატრონი მჭირდება. არა მე ამას გულწრფელად ვამბობ. იმიტომ, რომ ეს ხალხი, ვისზეც ახლა გესაუბრებოდით მყავს დახოცილი“. .

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა 150-წლოვან იუბილეზე საუბრისას, წინა 120 წლის იუბილეც გაიხსენა:

„ეს იყო ქართულ თეატრალურ სივრცეში და სინამდვილეში უნიკალური იუბილე. საბედნიეროდ, ჩანაწერი გვაქვს, მაგრამ ხარისხია ძალიან ცუდი. ეს იყო ქართული თეატრის იუბილე სრულად, სადაც, დაწყებული ოთარ მეღვინეთუხუცესიდან და მედეა ჯაფარიძიდან, სცენაზე იდგნენ სრულიად საქართველოს თეატრალური ელიტა და ვარსკვლავები არა მხოლოდ თბილისიდან, არამედ სოხუმის, ჭიათურის, ბათუმის, გორის და სხვა თეატრებიდან. სცენაზე გვყავდა ხუთი ლიმონა, რამდენიმე ტიგრანა და ა. შ.

ეს იყო უნიკალური, არ დამავიწყდება ბატონმა ოთარ მეღვინეთუხუცესმა დარბაზს რომ გადახედა, ჰოო დაიძახა და მესამე თუ მეოთხე ლიმონად ავიდა სცენაზე.

დიდება კოტე ნინიკაშვილის სულს, ეს იყო მასთან ერთად ჩვენი ნაღვაწი, ჩვენ ეს ერთობლივად გავაკეთეთ.

150 წლის იუბილისთვის კი მოხდა ისე, რომ ღმოვჩნდით თეატრს გარეთ, იცით თქვენ, ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით თეატრის შენობაში გრანდიოზული სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს და გაჩნდა ფიქრი: რა ვქნათ? როგორ ვქნათ? აი, მაშინ გაჩნდა იდეა და სურვილი, ზაზა ჯინჭარაძეა პირველი კაცი, ვისთანაც ეს გავაჟღერე, რატომაც არა, ერთხელ მაინც ცხოვრებაში პოდიუმი და წითელი ხალიჩა ოზურგეთში თეატრის მსახიობებისა და თანამშრომლებისათვის?! რატომ არ შევქმნათ ისეთი გარემო, რომ ეს იყოს ზეიმი?! უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ ეს ზეიმი შედგა, მიუხედავად იმისა, ბევრ რამეს ჩავასწორებდი. ხომ არ გგონიათ, რომ სულ შოკოლადად უყურებდნენ ყოველივე ამას. მე არ ვლაპარაკობ ზაზასა და ჩვენს გუნდზე. აქ იყო ეჭვები, როგორ გამოგვივა, დარი იქნება, არ იქნება. „შეპყრობილებს“ ყოველთვის უმართლებს, იმიტომ, რომ იმათ სხვანაირი კავშირები აქვთ. მე ახლა შეიძლება ვტრაბახობ, მაგრამ ვლაპარაკობ რეალურად. ვიცოდი, რომ მაგარი სიცხე არ იქნებოდა და მე და ზაზას უნდა ჩაგვეცვა ჩოხები. წინა დღეებში 40 გრადუსამდე სიცხეები იყო, 5 ივლისს კი ისე მოიღრუბლა, გაწვიმდებაო, იძახდნენ. დარწმუნებული ვიყავი, არ გაწვიმდებოდა. ვამბობდი, ღონისძიების შემდეგ გაწვიმდება-მეთქი. იმის თქმა მინდა, რომ ბოლომდე ანთებული ვიყავით ამ იდეით. აქვე უპრეცედენტო ფაქტი გახლდათ თეატრის ვარსკვლავის გახსნა. დიდება და მადლობა უფალს, რომ ეს ყველაფერი შეგვაძლებინა.“

ვასო ჩიგოგიძემ ვრცლად ისაუბრა საიუბილეოდ გამოცემულ წიგნზე „ოზურგეთის თეატრი — 150“, რომლის გამოცემისა იდეისა და კონცეფციის ავტორი თვითონაა:

„120 წლის იუბილის წიგნიც ჩემს ხელში გამოვიდა, ეტყობა დალვინება მაკლდა, მაშინ შესაძლებლობები გაცილებით მეტი იყო. რა უნდა მეთქვა რაიკომის პირველი მდივნისთვის, რომ ვერ მეშოვა, მითუმეტეს მაშინ სარეკლამო სააგენტო ჰქონდა კულტურის სამინისტროს და სიკო ვადაჭკორია მყავდა სარეკლამო სააგენტოს დირექტორად. როგორი მედლები, როგორი რაღაცეები გამოვუშვი მაშინ და ვფიქრობ, როგორ ვერ გამოვუშვი ასეთი წიგნი, რომელიც ახლა თქვენ გისახსოვრეთ. თუმცა გამოვუშვი ძალიან კარგი წიგნი, მაგრამ ბეჟან ნაკაიძე არ მყავდა შიგ, ევტროფი არ მყავდა და ასე შემდეგ. ანუ ბეჟანი იყო მოხსენიებული სიტყვით, მაგრამ ეტაპები არ იყო. საერთოდ არ იყო მამია V გურიელზე საუბარი და ა. შ. აქაც ვიყავი „შეპყრობილი“. როცა ავტორმა ლაშა ჩხარტიშვილმა და წიგნზე მომუშავე პერსონებმა პირველი 160-გვერდიანი ნაშრომი წარმომიდგინეს, 222 გვერდზე ავიყვანე. გავაწამე ლაშა და ეს ხალხი, მადლობელი ვარ მათი, რომ მხარი ამიბეს. მე კი არ შემიქმნია ეს წიგნი, მაგრამ მე არ მინდოდა ეტაპები გამორჩენილიყო, მინდოდა, რომ ყველა და ყველაფერი, ყველა სახელი და გვარი, რომელიც მეხსიერებას და ისტორიას ახსოვს, არ გამორჩენილიყო, განსაკუთრებით წასულებზე ვსაუბრობ. დღეს მოვიდა ჩემამდე გულისტკივილი, რომ ვიღაცაზე არ არის ცალკე თავი, ვიღაცაზე ცალკე თავებს, მე რომ არ ვიქნები და ახალი წიგნი გამოვა, მაშინ გააკეთებენ, იმიტომ, რომ ცოცხლები ვართ და ასაკი აქვს ამ ხალხს, ჯერ ახალგაზრდები არიან, ჩვენ შევეცადეთ ყველაფერი გაგვეკეთებინა, რომ წასულები და უფროსი თაობა აგვესახა ამ მონოგრაფიაში. ბოდიშს ვიხდი, ბატონებო, ამ თემაზე სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ მინდა ოზურგეთმა იცოდეს, თუ ვინმეს ახლობელი, ნათესავი, მოყვასი და მოყვარე მუშაობდა თეატრში, ყველა ამ წიგნშია, მობრძანდნენ და წიგნი მაინც მოიკითხონ საჩუქრად.

მინდა ადამიანებმა იცოდნენ, რომ ადგილის დედასთან მისვლა უნდა ხანდახან. რატომ უნდა გახსენებოდა მხოლოდ რომან ლომინაძის ოჯახს და მის შვილიშვილს, რამე ხომ არ არის საჭიროო. არ ვმალავ, ათასი დოლარი ფული მოიტანა. ეს მაშინ, როცა ვინც ჩვენი სპონსორები იყნენ, თითქმის ყველამ უარი მითხრა. ამიტომ აღარ შემრცხვა და სცენიდან მადლობა გადავუხადე მათ, ვინც დამიდგა გვერდში და სირცხვილი მას-მეთქი, ვთქვი, ვისაც ასეთი დღეები არ გაახსენდა. მაგალითად, „წყალი მარგებელმა“ დუმბაძის პირველ ფესტივალზე 2000 ლარი შემოგვწირა, ახლა კი საერთოდ ერთი ყუთი ნაბელღავი არ გამოუგზავნია, იმდენი სტუმარი გვყავდა; სულ არ მრცხვენია იმის, თქმაც, რომ „ვითიბი ბანკი“, რომელთანაც ნახევარმილიონიანი ბიუჯეტით ვარ, მხარში არ დამიდგა.

სამაგიეროდ, მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს კულტურისა და სპორტის მაშინდელ სამინისტროს, კონკრეტულად მიხეილ გიორგაძეს, რომელიც დღეს არ არის მინისტრი, გაერთიანებული სამინისტროს პირველი მოადგილეა, ვინც აენთო ჩემი იდეით და მხარში დამიდგა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით სამინისტრომ მონოგრაფიის გამოცემაშიც 5 ათასი ლარი ჩადო.

როგორ დამიდგა გვერდში კოტე შარაშენიძე, ყველამ იცის, რომ მე არ ვიყავი კოტე შარაშენიძის გვერდით, ვერც ვიქნებოდი. მე ოზურგეთელი ვარ და ვიყავი იქ, სადაც შეიძლება უნდა ვყოფილიყავი ან არ უნდა ვყოფილიყავი, ვიყავი იქ, სადაც უნდა ვყოფილიყავი არჩევნების დროს, იმიტომ, რომ არჩევნებს ვერ გადავაყოლებ ყველაფერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია იუბილისთვისაც და ფესტივალისთვისაც წარმოუდგენლად დამიდგა მხარში, ორჯერ მეტად, ვიდრე პირველ ფესტივალზე ჩემი მეგობარი ბეგი სიორიძე. წიგნისთვის კიდევ 3 ათასი ლარი ცალკე გამოჰყო. როგორ შეიძლება ვიყო რომელიმეს მიმართ უმადური?! არც ის დამვიწყნია, როცა მანამდე ბატონმა კოტემ ორასიათასიანი ბიუჯეტზე ასი ათასი ლარი უცებ დამიმატა, როცა მე ჩამოვედი ოზურგეთში. ასე რომ, თუ ადამიანი უმადური არ არის, არაფერი იკარგება და მე მინდა ამ ხალხს მადლობა გადავუხადო.“

ჩიგოგიძემ ჟურნალისტებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ ოზურგეთის თეატრისთვის გადაცემული ნოდარ დუმბაძის ფესტივალის პირველი სპეციალური პრიზი აჩვენა:

„კარგად ვინც ნახავს, ეს არის მართლაც უნიკალური თავისი წარწერით, თავისი ჩრდილებით, სოსოიათი და ხატიათი, თავისი მონატრებით, ეს არის ჩვენი პრემია. სირცხვილი იყო, რომ საქართველოში არ არსებობდა ნოდარ დუმბაძის პრემია. ამას ექნება საკმაოდ დიდი ფინანსური დამატებები. არაფრით არ იქნება ხუთი ათას ლარზე ნაკლები, შეიძლება იყოს ათი ათასი ლარიც. ასე რომ, თუ აქამდე გვქონდა დაანონსებული ფესტივალ-დათვალიერება, დახურვის დღეს ჩვენ დავაანონსეთ, რომ ეს იქნება ფესტივალ-კონკურსი, კონკრეტულად ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი — ქართული მწერლობა სრულად, სადაც აუცილებლად იქნება ერთი უცხოური დუმბაძე და რამდენიმე ქართული დუმბაძე, მაგრამ აღარ იქნება ოთხი „საბრალდებო დასკვნა“, სამი „მე ბებია, ილიკო და ილარიონი“ და ა. შ. არამედ იქნება გაშლილად, დაწყებული ვაჟა ფშაველადან, ინანიშვილითა და სხვებით დამთავრებული, ფესტივალ-კონკურსს უკვე ზუსტი გაწერილი სახე აქვს და გარწმუნებთ, რომ 2021 წელს, როცა თეატრში ნამდვილად დამთავრდება სარესტავრაციო სამუშაოები, გვექნება სასტუმროც ქალაქში, უკვე ფულადი რესურსიც, რომელიც მოხმარდება პრემიებს, ჟიურის წევრების ანაზღაურებას. საფესტივალოდ იმუშავებს შემრჩევი კომისია და უკვე ვასო ჩიგოგიძის გონება-ჭკუაზე და განწყობაზე არ იქნება რეპერტუარი. მას შეარჩევენ პროფესიონალები. რომ არ იყოს ინტერესთა კონფლიქტი, იმ ამორჩეულებს ეყოლება სხვა ჯგუფი, ჟიურიშიც იქნებიან სხვები“.

როცა ფესტივალში სრულად ჩაერთვება ქართული მწერლობა, თავისთავად გამდიდრდება და მრავალფეროვანი გახდება რეპერტუარი. თუმცა, სამხატვრო ხელმძღვანელის თქმით, მრავალფეროვნება და სერიოზულობა არც წლევანდელ ფესტივალს აკლდა:

„წლეულს სერიოზული ფესტივალი გვქონდა, სამი უცხოური დასი მონაწილეობდა, ხოლო სამ უცხოურ დასს უარი ვუთხარით და შევთავაზეთ მხოლოდ დელეგაცია, ფინანსურად ძნელი იყო ამის გაქაჩვა. დიდი ინტერესი და სურვილი გვქონდა, რომ ჩამოსულიყო ნიკიტსკის კარიბჭის თეატრი, 28 კაცით ჩამოვიდნენ, თავიდან ვერ მივაღწიეთ მოლაპარაკებას, რომ შემცირებულიყო რაოდენობა, პერმი მოდიოდა ოცი კაცით და დავიყვანეთ 17-ზე, აზერბაიჯანი ყველაზე პატიოსნად და ყველაზე წარმატებულად „ჰელადოსით“ გვესტუმრა, მოულოდნელად აღფრთოვანებული ვარ მისი სპექტაკლით.

რაც შეეხება მოსკოვს, ნიკიტსკის კარიბჭის თეატრს, მინდა გამოვყო ბებია, ლატვიელი ქალბატონი, პრაუდინა, ლატვიის სახალხო არტისტი და რუსეთის დამსახურებული არტისტი, თორემ დანარჩენთან გვაქვს სერიოზული პრეტენზიები. კავკასიელს თამაშობენ, ეს გადის კარგად, 18 წელია ვთამაშობთო.

უფრო მოზომილი იყო პერმის თეატრი, მაგრამ მათთან მე მაქვს პირადად შენიშვნები, იმიტომ, რომ მურადა, ფაქიზო და თხა ჩვენი ბრენდი და ექსკლუზივია. ეს იყო 1987 წელს, ჩემს სპექტაკლში, კოტე ნინიკაშვილთან ერთად მოხდა ამის მოფიქრება. მერე ამ სპექტაკლით მოვიარეთ ყოფილი საბჭოთა კავშირი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ვიყავით ბამზე...

ქართული თეატრებიდან, მაინც მიმაჩნია, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრი იყო ყველაზე წარმატებული, არ მინდა ვისაუბრო თელავის და ქუთაისის თეატრის სპექტაკლებზე, ცხინვალის თეატრი იყო კარგი, არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, ეს ორი თეატრი და კიდევ დმანისის თეატრი მომეწონა, დმანისი ნანახი მქონდა წინა ფესტივალზე სხვა თეატრის შესრულებით და ამიტომ ჩემთვის არ იყო სიახლე, რეჟისორი იყო ერთი და იგივე.

თუმცა, ყველა თეატრს მადლობას ვეუბნები, ვინც მონაწილეობა მიიღო ფესტივალში. ამ ხალხმა ხომ იზრუნა, მხარში დამიდგა ფაქტიურად. პრეტენზია არ მაქვს მეტრობაზე, მე ვერ შევაფასებ, მაგრამ ჩემთვის რაც იყო საინტერესო, იმაზე ვსაუბრობ.

სამხატვრო ხელმძღვანელმა თავისი აზრი გამოთქვა ოზურგეთის თეატრის საფესტივალო სპექტაკლზეც, რომელშიც სცენაზე სულ ცოტა, 47 ადამიანი გამოვიდა: „აუცილებლად უნდა დავაფიქსირო, რომ ჩვენ გავაკეთეთ საიუბილეოდ კოლაჟი, ყველა თანამშრომელი უნდა მდგარიყო სცენაზე, იმიტომ, რომ 150 წელი ერთხელ მოდის ცხოვრებაში. ჩვენ

▶▶▶ გვ-6

## პრესკონფერენცია

# „შეკყრობილების“ საიუბილეო ღონისძიება და ტრიუმფალურად წარმართული ფესტივალი

ეს შევკარით, მოვიყვანეთ ზურაბ ცინცქილაძე, შევკარით ხილვებად, ავარჩიეთ ის სპექტაკლები და ნაწყვეტები, რომლებიც დადგმული იყო ჩვენს თეატრში და „მონატრება“ დავარქვით. აღმოჩნდა, რომ სხვებმაც ასეთი ხერხი აქვთ აღებული, მაგრამ ჩვენს სპექტაკლს პრეტენზია ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ საიუბილეო სპექტაკლზე, რომელშიც მონაწილეობას სუყველა, თუნდაც ერთი სიტყვით, თუნდაც ერთი ფრაზით. როგორც კი საშუალება მოგვეცემა, ჩვენ ამ სპექტაკლზე ცოტას წავიმუშავებთ და მე გპირდებით, რომ ღირსეულ და სერიოზულ სპექტაკლს ჩავაბარებ მაყურებელს. ოღონდ სცენა უნდა, ჩვენ ეს სპექტაკლი გავაკეთეთ ზუსტად ექვს დღეში თან ჩოხატაურში. ისე რომ წასულიყო, როგორც ორი დღის წინათ პრაგონი წავიდა, კმაყოფილი ვიქნებოდი. მაინც ფესტივალია, რაღაცეები დაეტყო, რაღაცეები ჩავარდა. მე ამ სპექტაკლს აუცილებლად ვითამაშებ თბილისშიც, ბათუმშიც, რუსთავშიც, თელავშიც და ქუთაისშიც. ეს იქნება 150-წლოვანი თეატრის მოფერება. ძალიან ძნელია, 47 ადამიანი სცენაზე იდგა და სცენის მიღმა კიდევ რამდენი, ამას აღარ აქვს მნიშვნელობა. შეგვეძლო სხვა წესით და მეთოდით გამოვსულიყავით. მაგრამ ჩვენ ავიღეთ ეს ჩვენს თავზე, კმაყოფილი ვარ, მგონი, ყველა კმაყოფილია, რომ მოუწია არა მხოლოდ პოდიუმი, არამედ საიბილეო სცენაზე დგომაც.

როგორც ვასო ჩიგოგიძემ აღნიშნა, ფესტივალზე საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო რამდენიმე ქვეყნის დელეგაციები:

„ბოლო დღეს, ჩოხატაურში თქვენ ნახეთ, ალბათ, ლიტვის, პოლონეთისა და ნორვეგიიის დელეგაციები. ნორვეგია ჩემი კონტაქტი არ არის, ფესტივალის ერთ-ერთი ფუძემდებლის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კონტაქტია. რაც მთავარია, იუბილესა და ფესტივალზე მთელი რვა დღე ჩვენს გვერდში იყო ბულგარეთის გაბროვოს საერთაშორისო ფესტივალი, რომელთანაც გავაფორმეთ ჩვენთვის ძალიან ღირებული მემორანდუმი. გაბროვოში ყოველწლიურად, მონაცვლეობით ტარდება კომედიისა და სატირის ფესტივალი და მონოსპექტაკლების ფესტივალი. ამ მემორადუმის საფუძველზე, ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო ფესტივალი გახდა კავკასიის წარმომადგენელი გაბროვოს ფესტივალებისა, ჩვენი და საქართველოს სხვა თეატრებს, ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის თეატრებს ჩვენ წარვადგენთ ამ ფესტივალზე, ხოლო ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო ფესტივალის სრულუფლებიანი წარმომადგენელი აღმოსავლეთ ევროპასა და ბულგარეთში გახდა გაბროვოს ფესტივალი. ეს არ იქნება მხოლოდ ფესტივალი, ეს იქნება რეჟისორებისა და მსახიობების მოწვევა, გაცვლა და ა. შ. ასე რომ, ჩვენმა ფესტივალმა არეალი ამ თვალსაზრისითაც გააფართოვა და შეიძინა მეგობარი კოლეგა ფესტივალი.

მოკლედ, ეს მინდოდა თქვენთვის მეთქვა. ზოგიერთი ურწმუნოს გასაგებად კიდევ ერთხელ ვიმეორებ, აწი მაინც დამიჯერეთ, რომ ეს გზა ტაძრამდე მიგვიყვანს. ნახავთ, უფრო სწორად, ყველა ერთად ვნახავთ, როგორი ფესტივალი გვექნება 2021 წელს“.

# ფოთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში „სათამაშო პისტოლეტი“ გათამაშდა

ოზურგეთის თეატრმა 150-ე სეზონი გრანდიოზული იუბილითა და ნოდარ დუმბაძის მეორე საერთაშორისო ფესტივალით აღნიშნა. სეზონი კი „სათამაშო პიატოლეტით“ დახურა, რომელიც ფოთის საერთაშორისო ფესტივალზე მთავარ პროგრამაშია წარდგენილი.

თეატრის სამხატრო ხელმძღვანელის ვასილ ჩიგოგიძის თქმით, ფესტივალებზე მონაწილეობა, გასტროლები უცხოეთში და საქართველოს მასშტაბით, 151-ე სეზონის პრიორიტეტი იქნება.

ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასილ ჩიგოგიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი: „ - ბედნიერი ვარ თეატრის 150 წლოვანი იუბილისა და ფესტივალის წარმატებით განხორციელების გამო. ვხედავ, სამომავლოდ გასათვალისწინებელ ხარვეზებსაც. შინაგან ვალდებულებებს ვგრძნობ თეატრის უკეთესი მერმისისათვის. ეს კი მოტივაციას მაძლევს. დიდი მადლობა ვინც თეატრი აქამდე მოიყვანა. ჩვენ ამ იუბილისათვის მზადება დავიწყეთ რამდენიმე წლით ადრე, მაყურებელსაც შევთავაზეთ სიახლეები. მადლობა ჩვენს გუნდს, სამინისტროს. ოზურგეთის თეატრი კვლავაც გააგ-



რძელებს ინოვაციურ, მაყურებელზე მორგებულ შემოქმედებით პროცესს. არ არსებობს დაუძლეველი პრობლემა. დუმბაძის ფესტივალი მეტად განვითარდება და 2021 წლისათვის განახლებული პროგრამით წარდგება სათეატრო სამყაროში. დიდი მადლობა ყველას ფესტივალში მონაწილეობისათვის, მადლობა მაყურებელს, რომელმაც ფესტივალიც და ჩვენი 150 წლის იუბილე გურიის ზეიმად აღითქვა. 151-ე სეზონზე ჩვენ გვექნება დიდი საგასტროლო ტურნე საქართველოშიც და უცხოეთშიც სპექტალით „ჩხართვის ნისკარტით ნაამბობი“ იგივე „მონატრება“. ამ სპექტაკლში თითქმის მთელი დასი მონაწილეობს და ნოდარ დუმბაძისა და ოზურგეთის თეატრის იუბილეს ეძღვნება..

# სკანვორდი




## № 29-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – გრიგოლ რობაქიძე; მამაკაცის სახელი – ელისე; ერთ-ერთი ამორძალი – ჰიპოლიტე; ბედი – სვე; ნაბიჯი ცეკვაში – პა; მუშათა ზედამხედველი მონასტერში – ეპისტატი; ლიტერატურული პრემია – საბა; ტატიანა მოფერებით – ტატი; პიკასოს სახელი – პაბლო; ღორმუცელა – მსუნაგი; დუშაყი – ქმარი; ქართული ზღაპრის გმირი – ყამარი; სიდიდით მესამე კუნძული – კალიმანტანი; სასჯელის სახეობა – მოკვეთა; ილეთი ჭიდაობაში – სარმა; ჩაის სახეობა – ლაო; საპორტო ქალაქი საფრანგეთში – მარსელი; გიგანტური ყინული – აისბერგი; დაღესტნელი დიდებული – ნოინი; აივანი – ბანი; მოსკოვის „დინამოს“ ყოფილი მეკარე – პილგუი; პოლონური საფეხბურთო კლუბი – ლეგია; დანაშაულთან დაკავშირებული ჯარიმა – ჯურუმი; მდინარე ინდოეთში – განგი; მაგნიტური რკინაქვა – მაგნეტიტი; ძვირფასი თვალი – ქარვა; ბოსტნეული – ბოლოკი; კომში – ბია; ვიეტნამის დედაქალაქი – ჰანოი; ნაჭრის ჩანთა – ფუთა; მუხნარი – მოხისი; საქართველოს ძველი დედაქალაქი – მცხეთა; რაზეც საათს იბნევენ – მაჯა; საწოლის ატრიბუტი – საბანი; ბოსტნეული მცენარე – ხახვი; ერთ-ერთი ცოლვა – აბორტი

## ძველი ოზურგეთის ქრონიკები

# ოსმალების შემოჭრა ოზურგეთში და პროკოფი მამეიშვილი



გურიის სასულე ორკესტრის წევრები მარჯვნიდან მეორე ჯარისპან მამეიშვილი. 1908 წელი.

1918 წლის 7 აპრილს ოსმალები შემოიჭრნენ ოზურგეთში ლიხაურის მხრიდან. ლიხაურში - კვაჭალათში დაანგრიეს დონაძეების აშენებული ეკლესია, ოზურგეთი გაძარცვეს და გაანადგურეს, ყოველი მესამე სახლი დაწვეს, ოზურგეთელები ნათესავებთან იხიზნებოდნენ ახლომახლო სოფლებში. ემიგრანტ გიორგი ნაკაშიძის მოგონებიდან: „ოზურგეთში ოსმალები რომ შემოვიდნენ, მე და ჩემი დები: კაკიე, კაკალა, ვარდო სოფელ ბახვში გადავედით. ბახვში ოსმალები არ გადმოსულან ისინი სოფელ დვაბზუში გაჩერდნენ. ოზურგეთში ჯარი ჩააყენეს და აპირებდნენ არეალის გაფართოებას, პოზიციები მოსინჯეს და გაკირულიდან აპირებდნენ შემოქმედში შეჭრას. მაგრამ ნაბჟუჟარას გაღმა მაგრად დაუხვდნენ შემოქმედელები. მეფის ყოფილი ოფიცრის რამინ ჯახვას მეთაურობით სახელდახელოდ შექმნილმა რაზმმა შეაჩერა მათი წინსვლა. ოსმალებმა წინ წაწევა გადაიფიქრეს და გაკირულის ხიდთან დარაჯები დააყენეს. მხატვარი ვახტანგ მამეიშვილი იგონებს: „მამაჩემი პროკოფი მამეიშვილი მაშინ 18 წლის იყო, ტყემლის კრეფის დროს, ტყემლის ეკალი მოხვდა ხელში, ეკალი ჩარჩა, ხელი გაუსივდა და აუცილებელი იყო ექიმის ჩარევა. მაშინ ოზურგეთში ცნობილი ექიმი დიმიტრი ერისთავი იყო. მამაჩემი წავიდა ოზურგეთში, მაგრამ ოსმალო დარაჯებმა გაკირულის ხიდთან შეაჩერეს, მამაჩემმა ხელი ასწია თურმე და დაანახა შეხვეული ხელი და გააგებინა, რომ ექიმი ჭირდებოდა, თურქებმა უთხრეს თურმე: თუ შეტაკებაში მონაწილეობდი უნდა დაგხვრიტოთ, ასეთი წესი გვაქვსო, მამაჩემმა უთხრა: გამომაყოლეთ თქვენი ხალხი და სახვევს, რომ მომხსნიან, თვითონვე დარწმუნდებით, სიმართლეს გეუბნებითო, გააყოლეს ორი ასკერი და მივიდნენ დიმიტრი ერისთავთან. როდესაც ექიმმა შეხვეული მოხსნა, ასკერები დარწმუნდნენ რომ გასიებულ ხელში ეკალი ღრმად იჯდა, ექიმმა გაკვეთა ჭრილობა და ეკალი ამოუღო. ასკერები დარწმუნდნენ და უკანვე გამოაცილეს ხიდამდე“. მინდა ბაბუაჩემის შესახებაც გიამბოთ: ბაბუაჩემი ჯარისპან მამეიშვილი წარმოშობით მთისპირიდან (ოქროსქედი) იყო. ჩამოესიძა შემოქმედში გიტო სადრაძის ოჯახში. სპეციალობით - მუსიკოსი, დაბადებული 1878 წელს. ჰყავდა მეგობარი მიხეილ კვაჭანტირაძე, რომელთან ერთად თბილისში ოპერის თეატრში სწავლობდნენ სასულე ინსტრუმენტზე დაკვრას, მათი მასწავლებელი იყო ცნობილი ჩეხი მომღერალი რატილი, რომელიც მღეროდა ოპერის თეატრში და დაუახლოვდა ქართველ მუსიკოსებს (შემდგომ ის სათავეში ჩაუდგა ალნიაშვილის ანსამბლს). როდესაც ჯარისპანი და მიხეილი დაბრუნდნენ ოზურგეთში, მათ ჩამოაყალიბეს პირველი სასულე ორკესტრი გურიაში, მაშინ ოზურგეთში რუსის ჯარი იდგა და მათი ინსტრუმენტებით სარგებლობდნენ. 1905 წელს ბაბუაჩემი რუსეთ-იაპონიის ომში გაიწვიეს და ვლადივასტოკში ჯარს წინ მიუძღოდა თავის ინსტრუმენტით. როგორც ცნობილია, ამ ომში რუსეთმა წააგო. ბაბუაჩემმა უკან დაბრუნებისას თან წამოიღო ჩაის თესლი და პირველად შემოქმედში გააშენეს ჩაის პლანტაცია.

ანსამბლი, რომელშიც ბაბუაჩემი უკრავდა, ცნობილი გახდა, არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიც. გასტროლებზე იყვნენ შვეიცარიაში, ავსტრიაში და სხვაგან. ბაბუაჩემმა შვეიცარიიდან ჩამოიტანა ჯიბის ვერცხლის საათი, რომელიც მამაჩემს აჩუქა. და ერთი ფაქტიც: როდესაც ნიკოლოზ II ოდესაში იმყოფებოდა, მას ჰყავდა ადიუტანტი დუმბაძე (გენერალი დუმბაძე ანტონ დუმბაძის ერთ-ერთი შვილი მ.ლ.) შესანიშნავი ვაჟკაცი, გადმოცემით გაწყობილ სუფრას ფეხის დაუკარებლად გადაევლებოდა. ის ბაბუაჩემს იცნობდა და ტელეგრაფით აცნობა, რომ მეფეს დახვედროდნენ ნოვოროსიისკში გემბანთან თავიანთი სასულე ორკესტრით. როდესაც გემი გემბანს მოადგა და ჩამოუშვეს ტრაპი, მეფემ ფეხი ტრაპზე დაადგა და გურულ ჩაქურებში გამოწყობილმა ანსამბლის წევრებმა დაუკრეს საგალობელი „ბოჟე ცარია ხრანი („ღმერთო, დაიფარე მეფე“). მეფე ისე აღფრთოვანებულა, რომ დუმბაძეს შეეკითხა: ვინ არიანო, დუმბაძეს ამაყად უპასუხნია, ჩემი „ზემლიაკები“ არიანო. მეფემ ყველანი მედლებით დააჯილდოვა (ეს ფოტო დღეს ინახება ნარიმან ერომაიშვილის ოჯახშ.). ავსტრიაში ყოფნის დროს, ვენაში ყოველ კვირას ბაღში მოწყობილ სცენაზე უკრავდა ვენის სასულე ორკესტრი. ერთხელაც, როდესაც დაკვრა დაასრულეს, იქ მყოფმა, ჩაქურაში ჩაცმულმა გურულებმა იგივე მუსიკა დაუკრეს. განცვიფრებული ხალხი შემოეხვია ანსამბლის წევრებს და ეკითხებოდნენ თუ სადაურები იყვნენ.“

ჯარისპან მამეიშვილი 1915 წელს გარდაიცვლილა. ვახტანგ მამეიშვილის ოჯახში ინახება ფოტოები, რომელზედაც აღბეჭდილი არიან ანსამბლის წევრები, ასეთი ფოტოები იქნება მიხეილ კვაჭანტირაძის შთამომავლებთან, ჩვენი თხოვნაა მუზეუმში მოიტანონ აღნიშნული ფოტოები, რათა ისინი შემოუნახოთ ისტორიას.

ბატონი ვახტანგი ამბობს, რომ მის ოჯახში ინახებოდა ბაბუის - ჯარისპანის ნაქონი კლარნეტი, რომელიც სამწუხაროდ დაიკარგა. „მამაჩემიც პროკოფი მამეიშვილი კარგად უკრავდა კლარნეტზე. ოზურგეთის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ დატოვეს მუსიკის მასწავლებლად, ხუმრობით ამბობდა თურმე იონა ტუსკია მე გავზარდეო“.

**მანანა ლომაძე,**
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.



გურიის სასულე ორკესტრის წევრები, შუაში ანსამბლის ხელმძღვანელები მიხეილ კვაჭანტირაძე და დარისპან მამეიშვილი. 1905 წელი.

# ბახმაროს გზა ბახვისწყლის ხეობიდან



კურორტ ბახმაროზე გადაადგილება მე-19 საუკუნის ბოლოდან, ვიდრე მე-20 საუკუნის 40-იან წლებამდე ცხენით ხდებოდა. ოზურგეთელები სოფელ ვაკიჯვრიდან მიჰყავდათ ჩავლადარებს კურორტისაკენ ცხენებით.

სანუკვარი აგარაკისაკენ გზის მშენებლობა 1946 წელს დაიწყო და მასში გურიის სამივე რაიონის მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას. ივლის-აგვისტოში გზის მშენებლობაზე სოფელ ცხემლისხიდის 30-კაციანი ბრიგადაც ჩაერთო. ჩვენი გზის მშენებლობაში ჩართვა განაპირობა იმან, რომ ჩვენ რთულ პირობებში მუშაობის გამოცდილება გვქონდა.

ჩემი ოჯახი სოფელ ცხემლისხიდში უგზო ადგილას ცხოვრობდა ზემო უჩხუბში. მეზობლებთან ერთად გორაკებზე ერთი კილომეტრი გზა გავთხარეთ, შემდეგ მდინარეზე კაპიტალური ხიდიც გავაკეთეთ, რომელიც დღესაც ემსახურება ამ კუთხის მოსახლეობას. ეს რომ რაიონის იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ გაიგო, მთელი ოჯახი ორი თვით მიგვავლინეს ბახმაროში, სადაც შემდგომ წლებში გზის გახსნის ცერემონიალსაც დავესწარით.

ამ დროისათვის ბახმარო ძირითადად ოზურგეთის რაიონის გამგებლობაში იყო და გზის გახსნის შემდეგ –1950 წელს გადასცეს ჩოხატაურს. იმ დროს მდინარე ბახვისწყალი ყოფდა შუაზე ოზურგეთის და ჩოხატაურის რაიონულ საზღვარსაც.

იყო აზრი, რომ გზა ოზურგეთიდანაც გაეყვანათ ბახმაროში, მაგრამ შემდეგ დამპროექტებლებმა ახლანდელი ვარიანტი გადაწყვიტეს. ეს დამპროექტებლების ერთგვარი შეცდომა იყო, რადგან გზა 2000 მეტრს სიმაღლეზე ადის, ხოლო ოზურგეთიდან ბახვისწყლის ხეობაში გზის სიმაღლე ზღვის დონიდან 1500 მეტრი იქნებოდა.

დღეს კურორტ ბახმაროს ჩოხატაურის მხრიდან კარგი გზატკეცილი მიუყვება, მაგრამ გზა ოზურგეთიდანაც უნდა გაკეთდეს, მით უმეტეს ბახვისწყლის ხეობაში ჰესების მშენებლობის გამო, გზები გაიყვანეს და კურორტამდე მხოლოდ რამდენიმე კილომეტრია დარჩენილი.

ოზურგეთიდან სათადარიგო გზის გაყვანა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კურორტ ბახმაროს ზამთრის სამთო კურორტად გადაქცევას.

**მიშა ჟღენტი,**
სოფ. ცხემლისხიდი (უჩხუბი)

## სულთათანა

მეუღლე მედეა; შვილები ვიტალი, თამუნა: შვილიშვილები დეა, დაჩი: რძალი თამთა ანდღულაძე იუწყებიან **ზაური გრიგოლის ძე კოპლატაძის** გარდაცვალებას.

დაკრძალვა 2.08. 16. სთ. გამოსვენება ქ. ოზურგეთი, იმედაშვილის 7-ა (ექადია).



გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება თავისი ერთგული მკითხველის შტატგარეშე თანამშრომლის, წიგნიერი, ერუდირებული პიროვნების **ანზორ (ტოგო) დოლიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“-ს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლილი მიმინოშვილს მეუღლის **ანზორ დოლიძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული ორგანიზაცია იუწყება ზემო ნატანების საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის, ჭეშმარიტი მოქალაქის, კეთილშობილი პიროვნების, ბატონი **ვასილ ქინქლაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს სილაურის საჯარო სკოლის პედაგოგს ქალბატონ დალი კილაძეს, მეუღლის, კეთილშობილი პიროვნების, **ბიძინა ხელაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბიძინა მჟავანაძეს და მანანა მემარნიშვილს, დედისა და დედამთილის **ირა ბერიშვილის** გარდაცვალების გამო.


**იყიდება**

**სოფ. ოზურგეთში** - 3000 კვმ **სოფ. ვაკიჯვარში** - 1500 კვმ და **შეკვეთილში** - 1300 კვმ მიწის ნაკვეთები.

**დარეკეთ: (593) 36 40 07.**

* * *

**ექადია-ანასეულის უბანში** 1500 კვმ მიწის ნაკვეთი.

**დარეკეთ: 599 45 05 00**


# განიხილავენ კანონპროექტს „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“

ოზურგეთში, 31 ივლისს „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ კანონპროექტის საჯარო განხილვა გაიმართა. შეხვედრას, კოლეჯ „ჰორიზონტში“, ადგილობრივი სპორტსმენები, სპორტული ორგანიზაციების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ორგანიზატორების თქმით, საჯარო განხილვების მიზანს საზოგადოებისგან და სამიზნე ჯგუფებისგან კანონპროექტზე შენიშვნების და რეკომენდაციების მიღება წარმოადგენს. ახალი კანონპროექტის საჯარო განხილვები სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ინიციატივით და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით მიმდინარეობს. საჯარო განხილვები სხვადასხვა რეგიონს მოიცავს.

აღსანიშნავია რომ კანონის მოქმედი რედაქცია 22 წლის წინაა მიღებული. აქედან გამომდინარე კანონპროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ საჭიროა სპორტის სფეროში თანამედროვე მიდგომების დანერგვა და კანონის მიღმა დარჩენილი საკითხების რეგულირება.

კანონპროექტის პარლამენტისთვის წარდგენა დაგეგმილია მიმდინარე წლის ბოლოს.

# აგრო-ტურისტული ფესტივალი ,,გურია 2018“ ურეკში




**ალიონი.** გასულ კვირას დაბა ურეკში(მაგნეტიტი) აგრო ტურისტული ფესტივალი ,,გურია 2018“ გაიმართა.

ფესტივალის მიზანი იყო ადგილობრივად წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაცია, ადგილობრივი სოფლის პროდუქციისა და ტურისტული მომსახურების სერვისების მწარმოებლების ცნობადობის ამაღლება და მათი ხელშეწყობა პროდუქციის რეალიზაციასა და მომსახურების გაწევაში.

ფესტივალის ფარგლებში ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა მოეწყო, რომელშიც მონაწილეობა გურიის რეგიონის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის 50-ზე მეტმა ფერმერმა, მეწარმემ და კოოპერატივის წარმომადგენლებმა მიიღეს, რისთვისაც ისინი ,,მადლობის სიგელებით“ დაჯილდოვდნენ.

ფესტივალში მონაწილეობდა ,,მარგებელი ჰოლდინგი“, რომელიც აერთიანებს სააქციო საზოგადოება ,,წყალი მარგებელი,“ხილის ნატურალური წვენების, წარმოება ,,რაუხს,“მარნეულის სასურსათო ქარხანას, ,,დეველაის“,,მაუნთერ მარკპოფი“ და ა.შ; კომ[ანია ,,ჩაი გურიელი,“საქართველოს ორგანული ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია ,,**GEORGIAN ORGANIK**,“რომელიც აერთიანებს კოოპერატივ ,,ბახვის ჩაის,“მცირე მეწარმე მალხაზ ლიპარტელიანს, შპს ,,ავთანდილ +“,შპს ,,ჭითას“; ასევე იყვნენ ჩაის მწარმოებლები შპს ,,ჩიბათი,“ ,,შემოქმედი,“,,მილმარტი“, შპს ,,ავთანდილ +“; ნამცხვრის ნაწარმის მწარმოებელი შპს ,,სანდომი;“,,გულისტანი“...

თაფლის მწარმოებელი რევაზ ქათამაძე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭახათიდან იყო.

—10-სულიანი ოჯახი მაქვს. ჩემი წინაპარი ხინოს ტაძრის ბოლო მღვდელი იყო. ოჯახის ტრადიცისამებრ მეფუტკრეობას მივსდევ. ფესტივალებში ვმონაწილეობ, რომ მეტად ცნობადი გახდეს ჩემი პროდუქცია —გვითხრა **რევაზ ქათამაძემ.**

მეფუტკრეობის ნაწარმი ჰქონდათ წარმოდგენილი შპს ,,ნატურალური თაფლი“,,ღვთიური მწერი,“ (ნატანები),ინდ მეწარმეებს გივი ნინიძე (ვაკიჯვარი), ჯაბა ჭეიშვილი (მაკვანეთი), მერაბ ჩხარტიშვილი (ჯუმათი), ჯამბულ სურმანიძე (ლესა), ჭაბუკა ფაცურია (გვიმბრალაური),ია ურუშაძე და ა.შ.

მოწონება ხვდა წილად კოპერატივ ,,გვირილას“ (შალვა პაქსაძე, ზოტი) დამზადებულ მთის სულგუნს.

ფესტივალის სტუმრების მოწონება დაიმსახურა ჩოხატაურელი დაკა ბერძენიშვილის ხილის ჩაიმ; ჩირის ასორტმა (მარწყვი, ვაშლი, ,,მუშმულა,“ ვარდი, პიტნა, ლელვი, აკაციის ყვავილი). ნესვის სიროფმა, ხილის ნარჩენებისაგან ოჯახურის წესით გამოხდილმა არაყმა.

—თქვენს პროდუქციას ადევს საფირმო ნიშანი ,,სკიჯი“?



— ,,სკიჯი“ ხმელი ყურძნის ძველი ქართული სახელია. რასაც აქ ხედავთ ყველაფერი საოჯახო ნაწარმია, ყოველგვარი მინარევების გარეშე — გვითხრა **დაკა ბერძენიშვილმა.**

და ბოლოს ხალხმრავლობა იყო ოზურგეთელ და ჩოხატაურელ ღვინის მწარმოებლებთან. შემოქმედელ ანდრო ვაშალომიძეს ,,ჩხავერი,“ ,,საკმიელა,“ ,,ჭუმუტა“ და ვარდისფერი ღვინის ნაკრები ჰქონდა წარმოდგენილი, თეიმურაზ შარაშიძის მარანს (ბუკისციხე),—,,ჩხავერი,“ ,,ჯანი,“ ,,ცოლიკაური“; თეთრი მშრალი ღვინო ,,თვითნადენი“ და ,,ცოლიკარი“ საოჯახო მარანს ,,ალექსანდრე.“

პროექტი ჩატარდა ა(ა)იპ “ გურიის განვითარების კავშირი/ ურია ეველოპმენტ ნიონ პროექტის ,,მონაწილეობითი **CHARRETTE** გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის მიერ და განხორციელდა ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ორ არასამთავრობო ორგანიზაციასთან: ,,სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტსა’’ და ა(ა)იპ ,,ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი პროგრესის სახლთან“ ერთად.

ფესტივალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **სოლომონ პავლიაშვილი,** გურიის გუბერნატორი **მერაბ ჭანუყვაძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

გაზეთ ,,ალიონთან“ გურიის გუბერნატორმა **მერაბ ჭანუყვაძემ** განაცხადა: —გურიას აქვს ძალიან დიდი პოტენციალი აგროტურიზმის განვითარების და ასევე მრავალნაირი წარმოების, რომელიც დღეს ჩვენ აქ ვიხილეთ. არაჩვეულებრივი აგრო ტურისტული ფესტივალის ,,გურია 2018“ მომსწრენი გავხდით. მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო ფესტივალის მოწყობაში და აუცილებლად მინდა აღვნიშნო ევროკავშირის მხარდაჭერა, სწორედ მათი პროექტის ფარგლებში მოხდა ფესტივალის მოწყობა.

**ალექსანდრე სარიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი:

—გურიაში, კერძოდ, ურეკში ჩატარდა უმნიშვნელოვანესი ფესტივალი ჩვენი კუთხის განვითარებისთვის, როგორც ტურისტული, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ ფესტივალში სამივე მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი იყო საკუთარი, ადგილობრივი ნაწარმით. როგორც დაინახეთ, აქ იყო არა მხოლოდ ჩაი ან თხილი, არამედ თაფლი, სოიოს ნაწარმი, ღვინო, სიმინდიც და ხილიც კი. დიდი მადლობა ამ ფესტივალის ორგანიზატორებს და ყველა მონაწილეს. იმედი მაქვს, რომ გურიის პოტენციალი ყველასთვის გახდება ცნობილი.




## თეატრის იუბილეზე ახალდაწესებული სახელობითი ჯილდოები გაიცა

თეატრის იუბილესა და დუმბაძის ფესტივალის გახსნაზე მოხდა თეატრალურ სამყაროში ახალდაწესებული პრიზების ერთგვარი პრეზენტაცია.

ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმღძღვანელის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატის ვასო ჩიგოგიძის სიტყვებით, ფესტივალის ეგიდით დამზადდა შემდეგი სახელობითი ჯილდოები: ევტროფი თალაკვაძის, გიორგი შავგულიძის, ლამარა თურმანიძის, ალექსანდრე წუწუნავას, სანდრო ჟორჟოლიანის, რომან ლომინაძის სახელობის. დამზადდა თითოეული მათგანისათვის სამკერდე ნიშნები. ამ ჯილდოებით თეატრის შემოქმედებითი პერსონალის დაჯილდოვების პრეროგატივა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას გადაეცა.

საზოგადოებამ ოზურგეთის თეატრის იუბილესთან დაკავშირებით ამ ჯილდოებით პირველად დააჯილდოვა თეატრის მსახიობები და რეჟისორები— ვასო ჩიგოგიძე, ოთარ კუტალაძე, ნუგზარ ბარამიძე, ვერიკო ხუხუნაიშვილი, ომარ ურუშაძე, თემურ კვირკველია, ალექსანდრე ლომიძე..

ბატონი ვასოს თქმით, რომელიც ამავე დროს თეატრალური საზოგადოების გურია-სამეგრელოს განყოფილების ხელმძღვანელია, შესაძლოა სამეგრელოს ცნობილ მსახიობთა და თეატრის მოღვაწეთა სახელობის ჯილდოებიც დაწესდეს.

## ალექსი ლოდია მეორე იყო

19-21 ივლისს, სტამბულში ჩატარდა მსოფლიო რანგით უმაღლსი კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ,,დიდებს“ შორის.

ტურნირში მონაწილეობდა მსოფლიოს მრავალი საჭიდაო ტრადიციების მქონე ნაკრები გუნდები. საქართველოს ნაკრების ღირსებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების აღზრდილი ალექსი ლოდია იცავდა.

ალექსი ლოდიამ 97 კგ. წონით კატეგორიაში 4 ბრძოლა მოიგო და ფინალში გავიდა. აქ მან ბრძოლა დათმო და ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

## კრივი – ოზურგეთელი აბესაძეების ორი ბრინჯაო

26-29 ივლისს ქალაქ ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ,,ბათუმის თასი — 2018“ 2002-2003 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ნაკრები გუნდის წევრებმა: ოთარ აბესაძემ, 46 კგ წონით კატეგორიაში და რომა აბესაძემ, 52 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილები დაიკავეს. მწვრთნელი — იულონ საჯაია

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ელ-ჭექი +19+24 | მცირე წვიმა +17+22 | წვიმა +17+23 | მზე ღრუბელი +16+24 | მცირე წვიმა +17+26 | ღრუბელი +17+22 | ღრუბელი +17+21 |
| 2 აგვისტო ხუთშაბათი | 3 აგვისტო პარასკევი | 4 აგვისტო შაბათი | 5 აგვისტო კვირა | 6 აგვისტო ორშაბათი | 7 აგვისტო სამშაბათი | 8 აგვისტო ოთხშაბათი |